თბილისი **ხელშეკრულება №** 3/2-15 **24 აპრილი 2015 წ.**

ჩვენ. ქვემოთ ხელისმომწერნი **შპს „სტუდია ვებჯორჯია"** მისი დაფუძნებელ–დირექტორის ვახტანგ ჯინჯიხაძის სახით (შემდგომში – შემრსულებელი) ერთის მხრივ და მეორეს მხრივ (შემდგომში დამკვეთი): **სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი** მისი დირექტორი **ერმილე მესხია** ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანო მოიცავს შემდეგ მომსახურებას: შესაბამისი ობიექტის **საიტის ლინკის** ან **საპრეზენტაციო გვერდის** დამზადება და განთავსება საინფორმაციო–შემეცნებით პორტალზე CODNA.GE

1.2 საპრეზენტაციო გვერდი მოიცავს: ინფორმაციას, ობიექტის ადგილმდებარეობის ამსახველ რუკას, მაქსიმუმ 20 ფოტოსურათს და 10 ვიდეო–ფაილის ლინკს (ვიდეო ფაილი განთავსებული უნდა იყოს საიტზე **www.youtube.com**).

1.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის შემდეგ სურვილის შემთხვევაში დამკვეთი მისი ობიექტის საპრეზენტაციო გვერდის სამართავი პანელის მონაცემებს ღებულობს, რომლითაც მას თავისი აპრეზენტაციო გვერდის მისი სურვილისამებრ მართვა შეეძლება.

2.მხარეთა უფლება–მოვალეობები

2.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში შემეცნებით პორტალზე CODNA.GE განათავსოს შესაბამისი ობიექტის საპრეზენტაციო გვერდი ან საიტის ლინკი.

2.2 დამკვეთი მოვალეა შემსრულებელს დროულად მიაწოდოს საპრეზენტაციო გვერდისთვის საჭირო მასალა (ინფორმაცია, ფოტო–მასალა და სხვ.) და მისი ობიექტის საპრეზენტაციო გვერდის ან საიტის ლინკის განთავსებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადი.

2.3 მხარეები ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან მათთვის დაუძლეველი ძალის – **ფორს–მაჟორის** (საბრძოლო მოქმედება, სტიქიური უბედურება, დივერსია, ხანძარი ან სხვ.) მსვლელობის პერიოდში თავისუფლდებიან.

3. მომსახურების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1 საპრეზენტაციო გვერდის განთავსების ღირებულება წელიწადში **250** ლარით განისაზღვრება.

3.2 ანგარიშსწორება დამკვეთის მიერ შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით ხორციელდება.

4. დავების გადაწყვეტის წესი

4.1 მხარეები იღებენ ზომებს, რათა ამ ხელშეკრულებიდან წამოჭრილი ყველა დავა მოლაპარაკების გზით გადაწყდეს.

4.2 წინააღმდეგ შემთხვევაში დავა მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლოს გზით გადაწყდება.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა **12** თვით განისაზღვრება.

შემსრულებელი	**დამკვეთი**
შპს „სტუდია ვებჯორჯია" მის: თბილისი. ვ. ფშაველას N16	**სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი** მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. 37
ტელ: 2 147-822; 555 603306 **mail**: codna.ge@gmail.com	**ტელ:** 558 39 56 71 **mail**: info@batu.edu.ge
საიდენტიფიკაციო კოდი - **205197320**	საიდენტიფიკაციო კოდი - **245628496**
„თიბისი ბანკი" ანგ/N **GE57TB73 02836020100001**	სს "ჯორ-სტანდარტ" ბანკი ანგ/N **GE69KS0000000024166446**

3. ...

3.

მიღება–ჩაბარების აქტი №34

24.04.2015 წ.

ქ. თბილისი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ **დამკვეთი): სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი მისი დირექტორი ერმილე მესხია** და მეორეს მხრივ. **„სტუდია ვებჯორჯია"** მისი დირექტორის **ვახტან ჯინჯიხაძის** სახით ვადგენთ წინამდებარე აქტს, მასზედ, რომ ორმხრივი შეთანხმების თანახმად შემსრულებელმა შეასრულა შემდეგი სახის სამუშაო: საპრეზენტაციო გვერდი განათავსა ვებ–გვერდზე: **CODNA.GE**

სამუშაოს ღირებულება შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს.

აქტში მოყვანილი მონაცემები სწორია, რაზეც ვაწერთ ხელს.

მიიღო

ჩააბარა

_____ ვ. ჯინჯიხაძე